# აივ ინფექცია/შიდსი

## გაავრცელე ცოდნა და არა ვირუსი



საინფორმაციო მასალა დაიბეჭდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული “საქართველოში აივ პრევენციის პროექტის” მხარდაჭერით.

პროექტს ახორციელებს
RTI International, Save The Children International,
საზოგადოებრივი გაერთიანება “ბემონი” და საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი “თანადგომა”

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
ჯანმრთელობის კვლევის კავშირი
მის: ნუცუბიძის ქ. №8, ტელ: 214 44 47
ან ეწვიეთ ვებ გვერდს: http://www.geoyouth.ge/

USAID ამერიკელი ხალხისგან | საქართველოში აივ პრევენციის პროექტი

HRU ჯანმრთელობის კვლევის კავშირი

## რა არის აივ-ი?

**ა** - ადამიანის
**ი** - იმუნოდეფიციტის
**ვ** - ვირუსი

**აივ-ი იწვევს ადამიანის ორგანიზმის დამცავი ფუნქციის ანუ იმუნური სისტემის მოშლას**

## რა არის შიდს-ი?

**შ** – შეძენილი
**ი** – იმუნო
**დ** – დეფიციტის
**ს** – სინდრომი

შიდსი აივ-ით გამოწვეული განუკურნებელი ინფექციური დაავადებაა, რომლის დროსაც იმუნური სისტემა მნიშვნელოვნად არის დაზიანებული და ამიტომ, ზოგიერთი ჯანმრთელი ადამიანისთვის ადვილად გადასატან და მარტივ ინფექციას შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის სიკვდილი.

## როგორ გადაეცემა აივ-ი ერთი ადამიანიდან მეორეს?

**სისხლით:**

- აივ ინფიცირებული ადამიანის სისხლის გადასხმისას
- ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარების დროს
- არასტერილური სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებისას
- ტატუირების და პირსინგის დროს
- ინდივიდუალური მოხმარების საგნების (საპარსი, ფრჩხილის მაკრატელი, კბილის ჯაგრისი) გაზიარებისას

დაუცველი სქესობრივი კონტაქტით

აივ ინფიცირებული დედიდან ნაყოფზე ან ახალშობილზე მუცლადყოფნის (ორსულობის), მშობიარობის ან ძუძუთი კვების დროს

## აივ-ი არ გადადის:

- ხელის ჩამორთმევით
- კოცნით
- საუბრისას, დახველებით და დაცემინებით
- საერთო მოხმარების საგნებით (ჭურჭელი, პირსახოცი, თეთრეული, აბაზანა, აუზი)
- მწერების და ცხოველების ნაკბენით

## როგორ ავიცილოთ თავიდან აივ ინფექცია?

- ორმხრივი ერთგულება, ანუ მხოლოდ ერთი სქესობრივი პარტნიორის ყოლა
- შემთხვევითი სქესობრივი კავშირებისგან თავის შეკავება
- პრეზერვატივის გამოყენება სქესობრივი კავშირის დროს
- სტერილური სამედიცინო და საპარიკმახერო ინსტრუმენტების გამოყენება
- ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარებისგან თავის შეკავება

**„ფანჯრის პერიოდი"** - ეს არის პერიოდი ინფიცირების (ვირუსის ორგანიზმში შეჭრის) მომენტიდან 2-3 თვის განმავლობაში, როდესაც სისხლის ანალიზი ვერ გამოავლენს, არის თუ არა ადამიანი ინფიცირებული. ამ დროს ადამიანი ინფექციის წყაროს წარმოადგენს.

## შესაძლებელია თუ არა აივ ინფექციის მკურნალობა?

სადღეისოდ მსოფლიოში არ არსებობს რაიმე ისეთი სამკურნალო საშუალება, რომელიც ადამიანს სრულად განკურნავს ამ დაავადებისგან. თუმცა, არსებობს წამლები, რომლებიც აივ ინფიცირებულ ადამიანებს მნიშვნელოვნად უხანგრძლივებს სიცოცხლეს და აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს.